# თეატრი

გაზეთი ღირს:
ერთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე №-რი 10კ.
ხელის-მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, въ контору „Театръ."

№ 4

რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ წერ-მოწერას.
გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდეთ მოწერილი, სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

კვირა 21 იანვარი. 1885 - 1890 კვირა 21 იანვარი.

ТИФЛИССКОЙ ПУБЛИЧНОЙ БИБЛИОТЕКИ.

ქართული საკვირაო გაზეთი

## თეატრი

ამა 1890 წელს გამოვა კვირაში ერთხელ, ახალის თანამშრომლების მონაწილეობით. რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს რომ გაზეთი გაუმჯობესოს და საზოგადოების ნდობა-ყურადღება დაიმსახუროს.

რედაქციაში მუდმივ მონაწილეობას მიიღებს. თ. აკაკი წერეთელიც. გაზეთის გარდა, რომელიც თავ-თავის დროზედ აუცილებლად გამოვა, ხელის მომწერლებს დაურიგდებათ უფასოდ ექვსიდამ თორმეტამდე ახალი წიგნი ანუ სურათი.

გაზეთის ფასი წლიწადში 5 მან., ნახევარ წლობით 3 მან.. ვისაც წლის ფულის წინადვე შემოტანა არ ეხერხება, შეუძლიან 3 მან. ეხლა წარმოადგინოს და 2 მან. პირველს მარტსა. სოფლის მასწავლებელთ და არტისტებს გაზეთი დაეთმობათ 3 მანათად.

ვინც ამ იანვრის განმავლობაში 5 მანათს სრულად შემოიტანს—იმას გაეგზავნება უფასოდ, აღთქმულ წიგნების გარდა, კედლის კალენდარი, ანუ „სახალხო სურათებიანი კალენდარი", გამოცემა გრ. ჩარკვიანის და ფანცხავას წიგნის მაღაზიისა.

აგენტები და განყოფილებანი „თეატრის" კანტორისა: გორში—ბ-ნი სოფრომ მგალობლიშვილი და ილ. ხატრიევი; ქუთაისში—წიგნის მაღაზიები ბ.ბ. ჭილაძისა და წერეთლისა; ბათომში—მოსე ნათაძე; სენაკში—სამსონ ყიფიანი. სხვათა სახელი გამოცხადდება.

ხელის-მოწერა მიიღება „თეატრის", კანტორაში ქ. თბილისში სასახლის ქუჩაზედ, სააზნაურო ბანკის თეატრის ქვეშ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ контору газеты „ТЕАТРЪ".

ქართული თეატრი

სამშაბათს, 23 იანვარს,

ბენეფისი

მელიქოვისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან

წარმოდგენილი იქნება:

### ოტელლო

ტრაგედია 5 მოქმ. შექსპირისა

ოტელლოს როლს აასრულებს ბ-ნი მესხი.

დეზდემონას როლს აასრულებს მ. მ. საფაროვისა.

მონაწილენი: ქ.ნნი საფაროვისა, მელიქოვისა; ბ-ნნი მესხი, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, ცაგარელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

თბილისი, 20 იანვარი.

სასიხარულოდ და საიმედოდ მიაჩნდა ყველას ის ფაქტი, რომ იმერეთის დროებით ვალდებული გლეხობა მლიერ ეტანება თავის განთავისუფლების საქმეს. ისეთი დიდძალი შესყიდვის პირობები (Выкупные договоры) როგორც ქუთაისის გუბერნიაში, სხვაგან არსად არა სრულდებოდა და საფიქრებელიც იყო, ამ ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში საბატონო გლეხების რიცხვი მლიერ შემცირდებოდა. უკანასკნელი განკარგულება-კი ქუთაისის უმაღლესი ადმინისტრაციისა გვარიანად გადაეღობა წინ ამ სიმპატიურ ლტოლვილებას იმერეთის გლეხობისას. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბატონის და გლეხის შეთანხმებაში ხან-და-ხან, მალიან მცირეთ, იმგვარი ადგილებიც მოჰყვება ხოლმე, რომლებიც მათ არ ეკუთვნის, სხვისია და, სხვათა შორის, ხაზ ნისაც. ქუთაისის გუბერნიაში სახელმწიფო ქონებათა გამგეობას შეუმჩნევია ეს გარემოება და უთხოვია მთავრობასათვის, რომ მომრიგებელ შუამავლებმა, სანამ ისინი სავლესო დაწესებულებაში წარადგენდენ შესყიდვის პირობებს დასამტკიცებლად, გამგეობის აგენტებს გაუგზავნონ ეს პირობები იმის შესამოწმებლად: ურევია, თუ არა შიგ სახელმწიფო ადგილები. მთავრობამაც ამასვე ცირკულიარი დაურიგა მომრიგებელ შუამავლებს და შესყიდვის საქმე-კი ეხლა ამ გვარად დაისლართა.

თუ ყურს არ ვათხოვებთ ამ ცირკულიარის შინაარსს, რადგან შესყიდვის პირობების შედგენა და დამტკიცება დაწვრილებით არის მოხსენებული კანონებში და, მეორეს მხრით-კი, კანონთ მდებელისაგან სულ სხვა ზომებია ნაჩვენები, როგორც ხაზინის, ისე კერძო პირების ინტერესების დასაცველად, უნდა

## ფელეტონი

### „პატარა კახიდამ".

ბრმა მოხუცი და ახალგაზდა ქალი.

მოხუცი

აქ შევისვენოთ.

ქალი (აქეთ იქეთ იყურება)

თქვენი ნებაა.
სწორი ვაკეა.. ჩრდილიც ყოფილა.
წამოწექ!... მუხლზედ დამადე თავი
და დაიძინე!... აქ კიდევ გრილა.

მოხუცი

მუხლზე? კი, მაგრამ რომ გეტკინება?!

ქალი

მაშ ქვას მოვიტან... სადმე იქნება...

მოხუცი

აჰ! არა შვილო! რა საჭიროა,
უსასთუმლოდაც დამეძინება. (წვება)
საკვირველია, თვითქოს გაგრძელდა
ეს პატარა გზა, დღეს ერთი ორად,
ამასთან კიდევ მხარიც მომექცა
და მომეჩვენა უსწორ-მასწორად.
(ამთამთქნარებს)
ასე სცოდნია თურმე სიბერეს
დაავიწროებს თვალებსა და ყურს;
ერთი ხანია ყურიც მიწივის,
თითქოს უკრავდენ სადღაც სალამურს.

ქალი (გაწითლდება)

ეგ მამავ, მართლაც სალამურია.

მოხუცი

სალამურია?! მერე ვინ უკრავს,
იმ დროს, როდესაც ურიცხვი მტერი
ამ ჩვენს ქვეყანას გარშემო აკრავს?!...
მაშინ, როდესაც ბარში ქრივ-ობლებს
მტრები ჰმუსრავენ და სარჩე აგებენ,
აქედან ჩვენი ეს მთიულები
სალამურის კვრით უპასუხებენ?

ქალი

მწყემსები უკრავენ და თავს იქცევენ;
ხელში კომბლებით აქ უდგიან ცხვრებს.

მოხუცი

ეგ უკეთესი!... ვაჰ, ჩემს მოსწრებას!!
რა ესმის ამ ჩემს დასადგომს—ყურებს?,
ამისთანა დროს იმ შერცხვენილებს
რა ემწყემსებათ და რა ეცხვრებათ?!
მაშინ როდესაც, იმათ მოძმეებს,
მძიმე ბორკილი ფეხში ეყრებათ.
(დაფიქრდება)
ეჰ, თეიმურაზ! რა მტყუანი ხარ,
რომ მოაშორე ამ მთის სიმაგრეს,
და ბარელები ოხრად დაჰყარე,
რომ არ უყურო იმათ სიმწარეს!
შენ რომ გულს იტეხ—მტერი თამამობს
და შეუპოვრად ქართველს ამრობს ტყავს!
დამნაშავე ხარ!... მაგრამ მეფე ხარ
და ვინ რას გეტყვის? ვინ რას მოგკითხავს?

ქალი

კარგია, მამავ!... მაგდენს რომ შფოთავ,
კიდევაც მიტომ არ გეძინება.

მოხუცი

მგზავრმა რა გითხრა? ქოშის გორამდე
მისასვლელი გზა შორი იქნება?

ქალი

არა!... ასე სთქვა!... „აგერ არისო!"
თუ მართალია და არ მოჩვენა! (ჩუმად)
მამილო, ვისი აგებულია?
და ან რად ჰქვიან მას ქოშის გორა?

მოხუცი

ძველი დროების ამბავი არის,
მე ზღაპარივით გამიგონია,
და გეტყვი შვილო, რადგანც სურვილი
მაგის შეტყობის გულში გქონია:
„ამბობენ, ვითომც, რომ თამარ მეფემ
ერთ დროს არავინ ინახულაო.
ორმოცი დღე და ორმოცი ღამე
აქ, შუა-მთაში იმარხულაო.
რომ განიწმინდა სულით და ხორცით
ქოშში ვაიძრო მოჭედილიო,
აავსო მიწით და თან წაიღო,
რომ დაენიშნა ის ადგილიო,
სადაც ერთ დროში კახელ=ყმაწვილებს,
თავი დაედვათ წამებულადო,
და იქ დაჰყარა ნაკურთხი მიწა
მლვნად და საკურთხად დიდებულადო.
იმის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს:
ყოველი კუთხით იწყეს დენაო;
გაკეთდა გორა და ზედ თამარმა
წმინდა ტამარი ააშენაო.
როდესაც თურმე პირველად სწირეს
მაღალმა მთებმა იწყეს დრეკაო
და თამარ მეფეს ნათლით შებურვილს
ზეცით მოესმა ზარის რეკაო."

აკაკი

### წერილები შვეიცარიელ მეგობართან.

1

მეიოფასო მეგობარო, ტარიელ! შენი გაბერილი წერილი მომივიდა, სწორედ ახალ-წლის დღეს, მაგრამ ზედ არც წელიწადი იყო დასმული, არც თთვე და არც რიცხვი! ეს, ალბათ, მიტომ მოგსვლია, რომ მეტის-მეტად აღტაცებული ხარ მაგ რაღაც პაწაწინა შვეიცარიის სიმშვენიერითა და სიკეთით.

შე კაი კაცო! მართალია, დიდი ხანი გავიდა, რაც მოგვშორდი და შენი ქვეყანა აღარ გინახავს, მაგრამ მაინც როგორ დავიჯერო, ისე დაგავიწყდა შენი სამშობლო, რომ სრულებით ვეღარ წარმოუდგენია შენს გამომხატველობას აქაური მდიდარი, მშვენიერი და ყოველისფრით შემკული ბუნება, აქაური ლამაზი და ტურფა ხალხი, აქაური უზრუნველი ცხოვრება, მხიარულება, ქეიფი და სხვანი და სხვანი. არა, ძრიელ შემცდარი ბრძანდები, შენმა გაზრდამ, რომ ყველაფერი მანდაური მოგწონს და აღტაცებაში მოყვევხარ. კარამ-ზინიც ხომ ერთხელ შენსავით ოცნებობდა, როცა მადაურ ნიადაგს ეხვეოდა საყვარელსავით, კოცნიდა და ღმობიერებით ცრემლებს აფრქვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავტუდეთ, რომ ამ განკარგულება სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის მლიერ ცოტა სარგებლობა მოაქვს; მცხოვრებთათვის ხომ იგი ყოველ გვარ გაჭირებას წარმოადგენს: ას პირობაში, შეიძლება, ერთი გამოერიოს ისეთი, რომ ხაზინის ინტერესს არღვევდეს, მაგიერად პირობათა დამტკიცება გვიანდება, 7—8 თვეთ უკანასკნელი. აგენტები მოხელე პირები არიან და შესყიდვის პირობათა გარჩევას ისე ეპყრობიან, როგორც ყოველ გვარ ოფიციალურ ქაღალდს: გადადებენ ყოველ შემთხვევაში, სადაც დაგვიანება-კი შესაძლებელია.

ცოდვა იქნება მარტო მათ დავაბრალოთ ამ გვარი დაგვიანება. იმის შესატყობად, რომ ესა და ეს მიწა სახელმწიფოა თუ არა, საჭიროა, თვით ადგილის დათვალიერება, და ამისათვის-კი დრო, კარგი ტაროსი და „პრაგონები“ მაინც, თუ სხვა არაფერი. ან ერთი, ან მეორე, ან მესამე ხშირად შემოაკლდებათ და ამიტომაც, მაგალითად, შემოდგომიდამ დაწყებული შუა გაზაფხულამდე შეუძლოა მოველოდეთ აგენტებისაგან შესყიდვის პირობების დაბრუნებას. მართლაც, აი მეხუთე თვეა, რაც ზემოხსენებული განკარგულება გამოვიდა ქუთაისის გუბერნიაში, და ამბობენ, ჯერ ერთი პირობაც არ შესრულებულა. მერე როდის, თუ არა შემოდგომის დამლევს და ზამთარში შეუძლიათ და მოცალეობაც აქვთ მებატონეებს და გლეხებს, ერთმანერთში როგორმე მორიგდენ? იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ განკარგულებას, როგორც ყოვლად ხელის შემშლელს მცხოვრებთათვის, და თითქმის უმნიშვნელოს სახელმწიფო ქონებისათვის, დიდი ხანის სიცოცხლე არ ექნება და მისი მოსპობით შესყიდვის საქმეს ახლად შემოხვეული ბორკილი ჩამოეხსნება.

---

## ადგილობრივი ამბები.

დღეს, 21 იანვარს, თფილისის სობრანიაში გამართული იქნება კონცერტი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება ბლომად დაესწრება.

—

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. დავით ყიფიანს უთარგმნია შექსპირის პიესა „**Много шуму изъ ничего**“, ქართულად, «ტყუილ-უბრალოდ ვაი-ვაგლახი» და ცალკე წიგნად აპირებს დაბეჭდოს.

—

ამ თვის 12-ს გამართული იყო კონცერტი არტისტიულს საზოგადოებაში. კონცერტზედ ხალხი ბლომად დაესწრო და დიდათაც ისიამოვნა საზოგადოებამ. ქ. ქ-ნთ ლიუბატოვიჩმა და ბოსსიმ და ბ-ნმა ტარტაკოვმა მართლადაც თავისი მშვენიერი სიმღერით ისახელეს თავი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი იყვნენ პატივცემულნი ოპოჩინინი და პახომოვი. მათ მიერ წაკითხულმა სატირულმა და ღრმა აზრით სავსე ლექსებმა და პროზამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და გულ-წრფელი სიამოვნება დაბადა. დიდი ხანია ჩვენს მწერლობაში აღარ ისმის ესეთი გამომაფხიზლებელი აზრები, რომელნიც ამათ გაგვაგონეს იმ საღამოს.

—

ამ **15—20** წლის წინად თფილისში მოიძებნებოდა თითო ოროლა სტამბა და ისიც უხეირონი იყვნენ. შემდეგ თან-და-თან გამრავლდნენ სტამბები, სტამბების პატრონებმა შეიძინეს მაშინები და წიგნების ბეჭდვაც გაადვილდა. თფილისის გარეშე სხვა ჩვენს ქალაქებშიაც დაარსეს სტამბები და ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამ საქმეში სხვა მხრის ქართველებთან, შედარებით, გურულებმა იჩინეს თავი და მეტის ბეჯითობით და ხალისით შეუდგნენ ამ სასარგებლო და წმინდა საქმეს. აი კიდევ ამ თვეში ოზურგეთშიაც გამართავენ სტამბას. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ სტამბის პატრონებს სურთ ბეჭდონ ქართული წიგნები.

—

მეტად ცუდი ფეხთსაცმელი იყიდება თურმე აქაურ ქარხნის მაღაზიაში, რომელიც ბ. ადელხანოვს და კომპანიას ეკუთვნის. სანდო პირმა გვითხრა, რომ ამას წინად ორი წყვილი ფეხთსაცმელი უყიდნია, ცალი ქალის ფეხთსაცმელი ჩაცმის დროს გამსკდარა და გამოსაცვლელად მიუტანია, მაგრამ მთელი კვირა ნახევარი უტარებია და შემდეგ დაკერებული დაუბრუნებიათ ახლის ნაცვლად. მეორე ცალიც ერთ კვირაზე გასკდა და იქ ველარ მივიტანეთ, რომ კიდევ ორი კვირა არ ეწვალებინათ. ვაჟის ფეხსაცმელსაც ერთი თვის მეტი ვერ გაუძლია, დამპალი ტყავი გამსკდარა.

ამისთანა „პატიოსანი“ მწარმოებელნი დაიწყობენ ქადაგებას, უცხოეთიდამ რად მოგაქვსთ საქონელი, სხვაგან რად უნდა წავიდეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეო!

—

დილით ფოსტის კანტორაში, საცა დამტარებლები სხედან, დიდ-ძალი ხალხი მიატყდება ხოლმე, მაგრამ ერთი ვიწრო ოთახში თვითონ დამტარებლებიც ვერ მოტრიალებულან; შემსვლელ-გამამსვლელნი სულ ერთმანერთს ეხახუნებიან და კარებს ერთმანერთს ახლიან.

ნუ თუ ერთი ფართო ოთახი არ მოიპოვება?

—

ჩვენს ძველს მწერლობაში ბევრი ისეთი წიგნებია უცხო და მოუხვედრი სათაურით დაწერილი, რომ სათაური ხშირად შინაარს არ შეეფერება. ერთს ასეთს მაგალითს წარმოადგენს ხელთ ნაწერი წიგნი „ღ ე ლ ი მ ე რ კ უ ლ ა“. ეს წიგნი შეიცავს მრავალს ცნობებს საქართველოს ეკკლესიისა და წმინდა-

---

ბიჭო! მართალია, მე კი არ ყოფილვარ მაგ პატარა, მთებით და ტბებით სავსე ქვეყანაში, მაგრამ იმოდენი წამიკითხავს წიგნებში მაგისი აღწერა, რომ გაბედვით შემიძლია ვსთქვა: ჩვენი კურთხეული ქვეყანა და ბედნიერი ერი თუ ბევრით არა სჯობიან ყველაფერში თქვენ შვეიცარიასა და შვეიცარიელებს, უკან მაინც ხომ არაფერში ჩამორჩებიან. არა, რას ოცნებობ და მიედებ-მოედები! ტვინი ხომ არ შეგერყა? სად შვეიცარიელები და სად ჩვენი ბედნიერი ქვეყანა!

მაგრამ შენ ისეთი კერპი და ურწმუნო თომა ბრმანდები, რომ, ვიცი, ამ ცარიელი სიტყვებით შენთან ვერას გავხდები, თუ სათითაოდ და დაწვრილებით არ მოგაგონე და არ აღგიწერე ყველაფერი.

უკაცრავად გახლავარ შენთან, რომ პასუხს ფოსტით ვერ გიგზავნი, მაგრამ რა ვქნა, მარკების ფული არ მამესწრო. არა უშავს რა, გაზეთში წაიკითხე, თუ შენისთანა ურწმუნო კიდეა ვინმე, ისიც ხომ ისარგებლებს. მაშ დავიწყებ, მაგრამ სუყველაფრის მოწერა კი ერთად არ შემიძლია, რადგანაც იმოდენი დრო და მოცალეობა არა მაქვს. ხომ იცი, სამსახურის კაცი ვარ.

—

შენ, ჩემო ტარიელ! აღტაცებაში მოჰყავხარ მანდაურს მდიდარს ბუნებას, მის მშვენიერებას, მთებსა და ტბებს, რკინის გზებსა და სხვ.

შე კაი კაცო! შვეიცარიის სიმდიდრე ჩვენებურ სიმდიდრეს როგორ შეედრება? ჯარი მშვენიერი გვაქვს და თანაც იმდენი, რომ არა თუ ჩვენს გვეყოფნის, შორიდგან მოსრულ ძღვრ-ქიანებსაც კი არჩენს. მიწა ბევრი და ნოყიერი გვაქვს. წყალი ხომ, რა ნაირიც გინდა: ცივი, თბილი, ცხელი და სხვ. ჩვენებური აზნაურები, როგორც მოგეხსენება, მთელი ქვეყნის უმღურებსა და დავრდომილებს არჩენენ. ტყე და მინდორი ხომ იმდენი გვაქვს, რომ ჯერც-კი მოგვილია სულ სხვებს ურიგებთ. პური ბევრი მოგვიდის და ღვინო; ხილეულობაც იმდენი გვაქვს, რომ ღორებს უყრით. მწვანილი, ჩვენი სუფრის თვალი!.. მაგრამ რავდენი ერთი უნდა ჩამოგითვალო? განა შენ კი არ იცი, რომ ჩვენი ქვეყანა განთქმულია ყველაფერით ქვეყანაზე? ეგ თქვენი შვეიცარია, რომ დაგიჟინია, რითი შეედრება, აბა, ჩვენს მშვენიერს საქართველოს? სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ. ჩვენი კახური ნუნუესთანა, აბა, რა მოიპოვება მანდ!.. ჩათვერ და ჩაიძინე!. ქვეყნის მდებარეობას იტყვიდა, ამ მხრითაც ჩვენი ქვეყანა, ვგონებ, პირველი უნდა იყვეს მთელ დუნიაზედ. მთებით! დაგიჟინია, შე დალოცვილო! შენ სხვა რამე სთქვი, თორემ მთების მეტი რა გვაქვს. მერე რა მთები! თუ აღარაფერი გახსოვს, კაცო, რუკაში მაინც ჩაიხედე. ჩვენი მთები ხომ გადაჭიმული არიან ორ ზღვა შუა და ზეცას აბჯენენ თავსა. შენ კი მანდ რაღაც გორები გინახავს, და გიკვირს! არა მანდაური მთები ჩვენ მთებთან ნიმუშადაც (მოდელად) არ გამოდგებიან. ახლა სიმდიდრეც იკითხე! რა გინდა სულო და გულო, ჩვენ მთებში არ იყოს: ოქრო, ვერცხლი, ფოლადი, რკინა, სპილენძი, თითბერი, ბრინჯაო, თუჯი, კალა, ტყვია, გიშერი, შავი ქვა და სხვანი. ყველას ვინ ჩამოსთვლის! მართალია ჩვენ ვერა ვსარგებლობთ, მაგრამ სხვები ხომ სარგებლობენ. ისინიც ადამიანები არ არიან! მათი რა ბრალია, რომ იმათ ქვეყნებში არ გაუჩენია დალოცვილ ღმერთს ესეთი სიმდიდრე და ჩვენში კი არის. დეე, გამდიდრდნენ და დაინახონ ჩვენი გულ-კეთილობა. როცა გულს ისრულებენ და წავლენ, რაც გადარჩებათ ისევ ჩვენ არ დაგვრჩება?!

გიკვირს კიდევ, ჩემო ტარიელ, რომ შვეიცარიაში მაღალ მთებზე რკინის გზებით ავდივართ და ჩამოვდივართო. სხვა ადგილი და გზა რომ არა გაქვსთ, მაშ რა უნდა ჰქნათ, მთებზედაც არ იაროთ რკინის გზებით? ჩვენ რკინის გზა რაში გვეჭირვება? რკინის გზები რო გავმართოთ, ჩვენ მამა-პაპურ ურმებს რაღა ვუყოთ? მაგრამ ესეც არ იყოს, ვგონებ, ვერც ამ მხრით დაგვცდინონ თქვენმა შვეიცარიელებმა. მართალია, შენ აქ ყოფნის დროს არ იყო ჩვენში რკინის გზები, მაგრამ ცოტა ახლაც ნახე! ახლა ჩვენ კორტოხზე (ხომ გახსოვს?) დღე და ღამ დასრიალებენ ვაგონები. ერთის მაგიერად, სულ ორ-ორი მაშინა უბიათ წინ და უკან, ისე უნათებენ გზასა და დაათრევენ არა ათზე ნაკლებ ვაგონებს. ახლა ცოტა ტონელიც ნახე! ტონელს აკეთებენ, მარა რა ტონელს! ჩვენი კორტოხი შუა შუაგულში გასჭრეს! ჯერ მზათ არ არის, მაგრამ, ერთხელ ხომ იქნება მზათ. ტფიბულშიდაც ხომ მშვენიერი რკინის გზა გაგვიყვანეთ! ამ მოკლე დროში (ასე, სანამ ეს საუკუნე გათავდება) კავკასიონის მთებზედაც ვაპირებთ რელსების გადგმას! ამბობენ, გეგმა ჩვენ ინჟინრებს გოგრაში უკვე შეუმუშავებიათ. აბა ცოტა მაშინაც დაგვედარონ თქვენი შვეიცარიელები! კიდევ იწერები: შვეიცარიაში ისეთი ტბებია, კაცის თვალი უკეთესს ვერას ნახავსო. რას გაუგიჟებიხარ, ადამიანო! ტბები ჩვენ რა ეშმაკებად გვინდა? განა უიმისოდაც ცოტა ბაყაყები გვყავს! ჩვენა ვსცდილობთ, სადაც-კია ტბები, სულ დავაშროთ და ამისთვის ტყეებსა ვსწვავთ და ვკაფავთ, რომ რა არის, წვიმა ნაკლებ მოვიდეს, ტბები დაშრნენ და ეს ამოდენა წყლები თავშასაცემად არა გვქონდეს. არა, ტბები თქვენთვის დაგვილოცნია, ჩვენთვის საჭირო არ გახლავს. ჩვენ მხოლოდ ერთად ერთი ტბა გვეჭირვება, „გოგჩას“ რომ ეძახიან, და კიდეც მოუცია ღმერთს. ეს ერთი ტბა ყველა თქვენებურს ტბებსა სჯობია ერთად. არც ერთ თქვენ ტბაში ასეთი გემრიელი და ამოდენა გელაქნური არ მოიპოვება, როგორც ჩვენ გოგჩის ტბაში. ახლა კი მშვიდობით, ჩემო ტარიელ, მეორე წერილამდის. იმედი მაქვს ამ ჩემ წერილებს ყურადღებით წაიკითხავ და, ცოტაც არის, გულს მოიბრუნებ ჩვენ ტურფა სამშობლოსკენ.

შენი გ. წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების შესახებ. სათაურის წამკითხველი კი ვერა ღონის ძიებით ვერ მოიფიქრებს იმას, რომ ამ წიგნში საქართველოზე რამე ცნობები იქმნებაო.

—

ბ. ნ. მარის კიდევ ორი სხვა ისტორიული წიგნი დაუბეჭდია საქართველოსა და ქართული სიტყვიერების შესახებ.

—

სომხურს გაზეთს „ნორ-დარში“ წარსულ კვირას დაიბეჭდა ერთი წიგნის განხილვა, სპარსეთის პოეტის, ფირდუსის „შაჰ ნამესი“, რომლის შემოკლებული თარგმანი სომხურს ენაზე დაუბეჭდიათ თბილისში, სახელდობრ «როსტომი» და „ზურაბი“. მოგეხსენებათ, რომ „შაჰ ნამე“ ჩვენში მეჩვიდმეტე საუკუნეში სთარგმნა ხოსრო თურმანიძემ სახელ წოდებით, „როსტომიანი“. გაზეთში წერილის დამწერი, სხვათა შორის, ლაპარაკობს შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანზე“ და სომხებს დიდად აყვედრის, რომ ეს თხზულება მრავალს ენებზე გადათარგმნეს და ჩვენ, მათ მეზობელ სომხებმა-კი, ეს ვერ მოვახერხეთ აქამდისო.

—

ჩვენ გვწერენ იმერეთიდგან, რომ ქუთაისის მაზრაში ძლიერ თურმე მძვინვარებს ახალი სენი „ინფლუენცა“. არ არის ისეთი ოჯახი, სადაც ერთი ავად-მყოფი არ იწვეს. გაუფრთხილებლობისა და უექიმობისა გამო, ბევრს თურმე ფილტვების ანთებად გადაექცა და უმსხვერპლია მრავალი. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ხალხში ხმა დადის, ვითომც ექიმებიც ვერას შველიან ამ ახალი სენით ავად-მყოფს ადამიანსო და სნეული ღვთის ანაბარად არის თურმე გაშვებული.

ქუთაისის ახლო-მახლო სოფლები: გაღმა-გამოღმა წყალტუბო, ხომლი, ბანოჯა და იმათ ჩრდილოეთით მთებზედ და რიონის პირად გაშენებული სოფლები მთლად მოდებულია ამ სენით, ხალხი იხოცება, კაცი პატრონი კი არსად არის. თუ ქუთაისის ახლო მდებარე სოფლებს ექიმი ენატრებათ, ადვილი წარმოსადგენია, რა გვარს მდგომარეობაში უნდა იყვნენ ქალაქებს დაშორებული ურიცხვი სოფლები, მიყრუებულსა და მივარდნილს ადგილებში დასახლებული ადამიანის შვილები! ვინ არის ამ საწყლების გამკითხველი და პატრონი?..

═

ჩვენ გვატყობინებენ, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელს, ბ. ა. ნათაძეს შეუდგენია ქართველთა პირველ დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელო.

—

ამ დღეებში დაიბეჭდა ცალკე წიგნად დრამა ბ. სუმბათაშვილისა „ბორკილი“. ჩვენ მოგვივიდა ეს წიგნი, მაგრამ, მოუცლელობისა გამო, ვერ გადავშინჯეთ. მოგვყავს მხოლოდ „Нов. Об.“ აზრი ამ წიგნის შესახებ.

„ეს თარგმანი ადრე იბეჭდებოდა გაზ. „ივერიაში“ და სავსეა ყველა იმ ნაკლულევანებით, რომელიც შეადგენს აგრედ წოდებულს, „ივერიის სტილს“, თუმცა მთარგმნელი თითქოს სცდილა ჩვეულებრივი სალიტერატურო ენაც იხმარა. თარგმანს წინ უძღვის ბ-ნი სუმბათოვის ბიოგრაფია, რომლის ღირსებაზედაც შეიძლება ვსაჯოთ შემდეგის ამონაწერებიდამ. მაგალითად, ბიოგრაფია იწყება ამ ნაირის სიტყვებით:

„რუსეთის გამოჩენილ განსვენებულ დრამების მწერალ ოსტროვსკის შემდეგ რუსეთის დრამატურგთა შორის თვალ საჩინო ადგილი უჭირავს აგრეთვე ჩვენს თანამემამულეს თ. ა. ი. სუმბათაშვილს“.

„სწორედ, ოცი სტრიქონის შემდეგ ვკითხულობთ:

„დღესაც ძნელად სათქმელია, რა ადგილი უჭირავს თ. სუმბათაშვილს რუსეთის დრამატიულს ლიტერატურაში“.

«რას უნდა ვერწმუნოთ ამას შემდეგ და, მართლაც, რა ალაგი უჭირავს თ. სუმბათოვს?»

## ქართული თეატრი.

(16 იანვრის წარმოდგენა: „ორი ობოლი“, დრამა 5 მოქმედ. და 8 სურათად, ნათარგმნი ბ. ავ. ცაგარლის მიერ)

კარგი რამ იყო 16 იანვრის წარმოდგენა. მშვენიერად აგებული დრამა, ლამაზ-ლამაზი მონოლოგები, კარგი ცოდნა როლებისა, რომელიც ჩვენი თეატრისათვის ძლიერ უჩვეული მოვლინებაა, მაყურებელზე, რასაკვირველია, კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდა. მაგრამ ყოველისფერს საზღვარი აქვს, ცუდსაც და კარგსაც. სპეკტაკლის გაჭიმვა 8 მოქმედებათ ქართულ სცენაზე, (ხომ ყველას მოგეხსენებათ სურათები მოქმედებათ იქცევა) მაყურებელს თავს მოაბეზრებს. ცოდვა არ იქნებოდა, ამიტომაც დრამა შეემოკლებინათ და ისე დაედგათ.

ქ-ნი ავალიშვილისა, რომლის საბენეფისოდ იყო გამართული 16 იანვრის წარმოდგენა, სწორედ თავის ქერქში იყო. ძვირად შეგვხვედრია უკეთესად მოხდენილი მისი თამაში. გენრიეტას როლიც შეშვენის აქტრისის ნიჭიერებას: ახალგაზდა ქალი-ობოლი, მწუხარებაში ჩავარდნილი მუდამ ტირის, მუდამ ქვითინებს, მაგრამ თვის მღელვარებას არას დროს მაღლა არ გამოაჩენს და ტანჯვით მოკლულ გულის თქმას რიხიანად არ გამოაქვეყნებს.

მაგრამ ამ წარმოდგენის თვალი იყო ქ-ნი საფაროვისა. ბრმა ახალგაზდა ობოლის როლში, ქ-ნმა საფაროვისამ დაგვიხატა ისეთი ტიპი უმანკოებისა, გულწრფელობისა და თითქმის ყოველგვარი სათნოებისა, რომ ამ ვეებერთელა დრამის განმავლობაში ჩვენ ვერ მოგვეშორებინა თვალი იმისაგან და ყოველი ჩვენგანი თითქმის მზად იყო გამოეხსნა ეს წმინდა სული იმ გასაცდელისაგან, რომელიც მას მიაყენეს...

დანარჩენ აქტიორებზედაც სამდურავს ვერ ვიტყვით. ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა ჩვეულებრივ ლაზათიანად თამაშობდა. ბ. მესხს ნამეტანი უფერული როლი ჰქონდა. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. მობენეფისეს საჩუქარი მიართვეს.

«უკანონო შვილი» დრამა 5 მოქმედებად თხზულება დიუმასი.

გუშინ, 19 იანვარს, ქართველმა არტისტებმა წარმოადგინეს ახალი პიესა «უკანონო შვილი». პიესა დიუმასი სრულიად მოკლებულია შინაარს, აზრის სიცხოველეს დახელოვნურად ბოლომდე აზრის დასრულებას. შიგა-და-შიგ სწორედ დიუმას ნიჭის შესაფერი ადგილებიც არის ჩაკერებული, რომელნიც ცუდად მოქმედებენ პატიოსან ოჯახსა და წრეებში აღზრდილს ადამიანებზედ, თუმცა „გალიორკის“ ხალხის გულის მოსაგებად, ღვთის წინაშე, ზედ გამოჭრილია. აგერ-ეგერაც, სრულიად უადგილოდ, მრთელი ლექციაა გაჭიმული იმის შესახებ, რომ პოეტები თავიანთ პიესებში ცხოვრებას ვერ შეეხებით, რადგანაც „გარემოება“ ნებას არ გვაძლევსო — ბრძანებს ბ-ნი ა. დიუმა და ჩვენც, რა ვქნათ, უნდა ვერწმუნოთ.

ადელ დერვეის როლს თამაშობდა ქ-ნი საფაროვისა და ანტონის როლს ბ. მესხი. რომ ეს ორი არტისტი არა, გუშინდელი წარმოდგენა სწორედ ძილს მოგვრიდა მაყურებელს საზოგადოებას. უკანასკნელი მოქმედება ამ ორმა არტისტმა ხელოვნურად ჩაატარეს, რამდენადაც კი პიესის შინაარსი აძლევდათ ნებას. სხვებზედ არა ღირს ლაპარაკი. მხოლოდ ქ-ნი დიმელი ისევ დაგვანახვეს ქართულ სცენაზედ. ამ ორი თთვის წინედ ჩვენ შევნიშნეთ ამ ქ-ნის სცენაზედ უადგილობა და ვუსაყვედურებდით წარმოდგენების მხნე და ნიჭიერს გამგებელს. მან ყურადღება მიაქცია ჩვენს საფუძვლიანს საყვედურს და ეს ორი თვეა დიმელი არ გვინახავს სცენაზედ. გუშინ დიმელი კვლავ ვნახეთ და წინედ ჩვენ მიერ ნაჩვენებ ნაკლულოვანებათა გარდა, როლის სრულიად უცოდნელიც გახლდათ....

საზოგადოება წარმოდგენას ცოტა დაესწრო. ჩვენს საზოგადოებას საერო საქმისადმი გულ გრილობა თუნდაც ათას ჯერ უსაყვედუროთ, მაინც ვერ დასძრავთ იმის გაქვავებულს გულსა და ბუნებას...

## წერილი იმერეთიდგან.

Какъ мало прожито,
Какъ много пережито.
С. Надсонъ.

სიკვდილმა გამოაკლო ახალგაზდობას ერთი პატიოსანი მშრომელი პირი, რაჟდენ ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე. განსვენებული დაიბადა ზემო იმერეთის სოფ. ალისუბანში. იგი მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში მისცეს სასწავლებლად, სადაც სწავლობდა მეხუთე, თუ მეექვსე კლასამდის და შემდეგ გამოვიდა გიმნაზიიდგან. ყველას ეგონა, რომ ახალგაზდა რაჟდენს სწავლა შესძულდა, შრომა-მეცადინეობა მობეზრდა და გიმნაზიასაც მიტომ დაანება თავი, მაგრამ საღი [illegible] გამჭრიახი გონება რაჟდენისა, ყოველს დღეს აწუხებდა განსვენებულს და შეუბრალებლად ჰქენჯნიდა მის ნორჩსა და გამოუცდელს გულს. საბრალო ორ ცეცხლ შუა იყო: ერთის მხრით, მამა უჯავრდებოდა სწავლის თავის დანებებას და, მეორეს მხრით, არ იცოდა რა საქმეზედ დამდგარიყო. მას სურდა მაღალ სასწავლებელში განეგრძო სწავლა და ეს აზრი განსვენებულმა განახორციელა. იმავე წელს რუსეთის მაღალ სასწავლებელში თავისუფალ მსმენელათ შევიდა და თან გიმნაზიის პროგრამასაც გადიოდა.

რუსეთის ჰავამ დამღუპველი გავლენა იქონია საბრალო რაჟდენის აგებულებაზედ. ისეთაც სუსტი აგებულება განსვენებულისა უცხო ჰავამ და განუსაზღვრელმა შრომამ კიდევ უფრო დაასუსტა, დაამჭლევა და ღონე მთლად გამოულია; მაგრამ განსვენებულს სწავლა იქამდის სწყუროდა, იქამდის ენატრებოდა, რომ მაინც არ ეშვებოდა; დაიწყებდა თუ არა მეცადინეობას, ისევ ავათ ხდებოდა და ჯახირდებოდა. ბოლოს, სისუსტემ უმატა და ექიმების რჩევით ჩამოვიდა თავის სამშობლო ქვეყანაში. სამშობლო ჰავამ, ცოტა არ იყოს, გამოამრთელა. იგი ყოველთვის მოწიწებით ადევნებდა თვალს ჩვენ ნორჩს ლიტერატურას და მის წარმატებას გულის ტოკვით შეჰხაროდა. იმ დროს, როდესაც, ბ. აბაშიძემ გაზეთი „თეატრის“ გამოცემა დაიწყო, ჩიკვაიძე ამ გაზეთის თანამშრომელი შეიქნა. მან დაბეჭდა რამოდენიმე ლექსი ამ გაზეთში. ლექსებს გარდა, დაბეჭდა რამდენიმე სტატიაც. დასწერა აგრეთვე ერთი მოთხრობა „ნაძრახი ადგილი“, რომლის შინაარსიც იმერეთის ცხოვრებიდგან ჰქონდა ამოღებული.

განსვენებული სულ 26—27 წლის თუ იქნებოდა და, აი, იმედების მაგიერ, რა აზრი ჰქონდა საბრალოს გულში:

„მე სიცოცხლე მხამსა მასმევს,
იტანჯება გლახ სენებით,
თვით ოცნებაც არ ტყუვდება დაკარგული იმედებით.

თეოფილე ხუსკივაძე.

## ჭლექი

„ნედელიაში“, სხვათა შორის, ჭლექის გადამდებლობაზე შემდეგი ამბავი სწერია:

ექიმს (დოქტორს) შერენდს გამოუკვლევია და აღმოუჩენია, რომ ჭლექის მიკრობი ერთ ნაირია პირუტყვში და ადამიანში, მეტადრე ხარის მიკრობი ძალიან ჰგავს ადამიანისას. ექიმი კლებსისა და ვუდის გამოკვლევით საქონლიდამ ადვილად ედებათ ჭლექი ადამიანთა. ვიურცი და შტრაუსი ამტკიცებენ, რომ ჭლექის ბაცილი არა კვდება და არ იხრწნება ადამიანის კუჭში, ის ცხოველდება აქა და აჩენს ჭლექს, ასნეულებს კაცს.

ეხლა თითქმის ყველა ერთხმივ აღვიარებს, რომ ჭლექის მიზეზი არის მხამიანი მიკრობი, რომელსაც კაცი უნდა ერიდოს ყოველი ღონით. დიურინგი გვიამბობს ერთს საოცარს ამბავს. სრულიად საღს გასათხოვარს ქალს მოუვიდა თავის მეგობარ ქალისგან საჩუქრად საყურე. ამ საყურის პატრონი ქალი მოკვდა ჭლექით. თურმე ყმაწვილმა ქალმა თავი

სი მეგობარი ქალის საყურე გაიკეთა ყურში და არ იშორებდა ყურიდამ. ამ საყურეებიდამ გადედო ამ ქალსაც ჭლექი. პოფეიფერი გვიამბობს კიდევ უფრო საოცარს ამბავს: ერთმა პირუტყვთა ექიმმა გასჭრა ერთი ჭლექისგან მომკვდარი ხარი. ამ დროს გაიჭრა მარჯვენა ხელის ცერი; ერთი წლის უკან გაუჩნდა მას ფილტვში ჭლექი და თან გადიტანა. გაუჭრესამ ექიმს ცერი და ნახეს, რომ ცერისხორცი სავსე იყო ჭლექის ბაცილებით. კორნილმა მოახდინა შემდეგი გამოცდილება. იმან ორი წვეთი წყალში გახსნილი ჭლექის ბაცილი დაასხა პირში ზღვის ღორსა. ორი კვირის უკან გასჭრა ეს ღორი და ნახა, რომ კუჭი სავსე ჰქონდა ჭლექის ბაცილებითა. შპილმანი და გოფმანი ამბობენ, რომ ჭლექის შხამი გადააქვთ ბუზებსაცაო. გოფმანს დაუჭერია ექვსი ბუზი ოთახში, სადაც მოკვდა ჭლექიანი და სადაც მრავალი იყო აქეთ იქით ნაფურთხი ნახველი ჭლექიანისა და გამოდგა, რომ ყველა ბუზებს ჰქონდათ შიგნეულში ჭლექის ბაცილები. არამც თუ ბუზებში, იმან ჰპოვა ესევე ჭლექის ბაცილები ბუზების ნაჯდომში, კედლებზედ. გოფმანი განგებ აჭმევდა ბუზებს ჭლექის ბაცილებს და რამდენისამე დღის უკან ბუზებს უჩნდებოდათ ეს ბაცილები; ბოლოს უჩნდებოდათ ბუზებს ჭლექი და იხოცებოდნენ უწყალოდ. ცხადია, რომ იმათ თავისი ნაჯდომით დადააქვთ ჩვენს საჭმელზედაც ეს ბაცილები და აქედამ გვედება ჩვენცა ჭლექი.

ყველაზედ უფრო ადვილად ედება კაცს ჭლექი ნახველიდამ. ამის გამო ბევრი ექიმი უშლის, რომ ჭლექიანები არა ჰკოცნიდნენ არავის. ზოგი ექიმები თხოულობენ, რომ ჭლექიანებს აეკრძალოთ ქორწინება.

რაკი ამ გვარი გადამდებია ჭლექი თვით საჭმელიდამაც, ამის გამო, ეხლა მეცნიერება ცდილობს მიიღოს ზომა, რომ საჭმელი სიფრთხილით იხმარებოდეს. პარიჟში შარშან წინ იყო ამის თაობაზედ მთელი კონგრესი მეცნიერთა, რომელთა დარიგებით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოაწერა დეკრეტზედ ხელი, რომ ყურადღება იყვეს მიქცეული საკლავებზედ და სხვა.

ასრე, ყველაზედ მეტი იხოცება მჭლექისაგან. 1884 წ. პარიჟში მოკვდა 56970 კაცი. ამათში 15000 იყო მკვდარი ჭლექითა.

დაბადებამ, ვინ იცის, რაოდენი ხნის წინად იცოდა გადამდებლობა სნეულებისა საკლავებიდამ. ის დაწვრილებით აღწერს ჭლექიანს საქონელს და უკრძალავს იმათს ჭამას. აქედამ გამოჰყავთ ეხლანდელ მეცნიერთა, რომ ებრაელნი უფრო ბევრსა სცხოვრებენ სხვა ხალხებზედ, რადგან არა ხმარობენ სნეული საქონლის ხორცს. სხვათა შორის, შემდეგი ცნობებია მოყვანილი. ლონდონში აპელის ურიების უბნებში ჭლექი იშვიათი საქმეა. ერთს ცნობილს საავათმყოფოში, სადაც რავდენიმე პალატი აქვთ მიცემული ებრაელთა, ათასში ერთი არ არის ჭლექით ავათმყოფი. პრუსიაში შუათანა რიცხვი სიცოცხლისა არის 26 წელიწადი, ესე იგი, შუათანათ ხალხი სცხოვრობს 26 წელიწადსა., ებრაელნი 31 წელიწადსა. ამის მიზეზს მეცნიერნი ჰპოვებ ენ მაში, რომ ებრაელთ აღკრძალული აქვთ და არა ხმარობენ სნეული საქონლის ხორცს და, საზოგადოდ, ფრთხილობენ ხორცეულს საჭმელში.

მეცნიერნი ჰპოვებენ, რომ ჭლექი რძიდგანაც ედება ადამიანს. ამისგამო უნდა ერიდოს კაცი ავადმყოფი საქონლისა და ადამიანის რძეს. ჭლექიანმა დედამ არ უნდა აწოვოს შვილს თავისი ძუძუ: უნდა სალი ძიძა უშოვნოს.

მეცნიერნი თხოულობენ, რომ სასაკლაოებში ყოველთვის უნდა ექიმებისაგან იშინჯებოდეს დასოცილი საქონელი, რომ საკლავიდამ არ გადავიდეს კაცზედ სხვა და სხვა რიგი გადამდები სნეულება.

## ტელეგრამები

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა სთქვა: პორტუგალიის სურვილი, რომ მედიატორეთა სამართლით გადასწყდეს ჩვენში ატეხილი დავა, უსაფუძვლოა და ბერლინის ხელშეკრულობას ეწინააღმდეგებაო.

ლონდონი. დუბლინიდამ მოვიდა ამბავი, რომ რაკი აქ დამყარდა მშვიდობიანობა, ირლანდიის მთავრობამ შესაძლოდ სცნო ბევრს საგრაფოში შემცირდეს სისასტიკე განსაკუთრებულის კანონებისაო.

ლონდონი. პორტამ უპასუხა ინგლისს რომ კრიტის კუნძულის ეხლანდელი ყოფა ნებას არ გვაძლევს შევცვალოთ ხონთქრის ფირმანიო.

მადრიდი. ბრაზილიაში აღმოუჩენიათ ახალი შეთქმულობა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ შეთქმულნი ზღვის ჯარის კაცები არიანო.

ბერლინი. ქვა-ნახშირის მადანში მომუშავე მუშები, რომელიც წარსულს ზაფხულს იმპერატორმა ინახულა, ურილობაზე იმ აზრს ადგა, რომ სოციალისტები უეჭველად უნდა იქმნენ რეისსტაგში ამორჩეულიო. სოციალისტთა დეპუტატებმა გადასწყვიტეს, რომ არეულობასა და პირის შეკვრით მუშაობის აკვეთას წინააღმდეგნი გავხდეთო. ჯარს ნაბძანები აქვს, ყოველთვის მზად იყავით, რომ დაამშვიდოთ ხალხი, თუ ვინიცობაა ქვა-ნახშირის მადნებში არეულობა რამ მოხდესო.

რეისსტაგში მესამედ იქმნა წაკითხული კანონი სოციალისტების შესახებ. საიმპერიო კანცლერი რეისსტაგში არ დასწრო. ბებელი პროექტის წინააღმდეგ ჰლაპარაკობდა. მინისტრმა გერფურტმა სთქვა, რომ სოციალ დემოკრატების მეთაურს ხალხის წარმომადგენლად ვერ ჩავთლით, განსაკუთრებით-კი მუშათა წარმომადგენლადაო. თუ ჩაითვლებიან, ისევ იმ მუშათა წარმომადგენლად, რომელთაც მუშაობა აჰკვეთესო. დასასრულ კანონი უარ ყოფილ იქმნა.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: უბაჟოდ გატარებულ იქმნას ჩვენს ქვეყნებზე სპარსული საქონელი, რომელიც მიდის ასხაბადიდამ ანუ სხვა ამიერ კავკასიის რკინი-გზის სტანციებიდამ, უზუნიადა და ბაქოდამ, სწორედ იმ წესით, რომელიც წინად იხმარებოდა ამიერ კავკასიაში.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ კანონიერად იცნა რესპუბლიკა ბრაზილიისა.

ათინა. კრიტის კუნძულიდამ მოდის ამბავი, რომ საყოველთაო აჯანყებას მოელიანო. ქალაქებს გარეშე ოსმალონი თავის ძალ-ღონის იმედი არა აქვსთ და ციხეებს აფარებენ თავსაო.

## განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხ. საზოგადოებაში გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავას წიგნის მაღაზ.
ბ. ნიკოლაძის ნაწერები
წიგნი პირველი
გამოცემა
ზ. ჭიჭინაძისა
ფასი 30 კაპ.

АГЕНТУРА КНИЖНАГО МАГАЗИНА
Гебетнер'а и Вольфа
ИЗЪ ВАРШАВЫ.
Дворцовая ул., караван-сарай б. Арцруни, при справочной конторѣ Ш. Э. Давидова.

Принимаетъ подписку на всѣ варшавскія а равно иностранныя періодическія изданія по редакціоннымъ цѣнамъ. Посредничаетъ при выпискѣ книгъ на польскомъ, французскомъ, нѣмецкомъ и англійскомъ языкахъ.

Каталоги можно просматривать на мѣстѣ.

მოსკოვიდამ მოსული ქალი-მოდების მკერავი ეძებს რამე საქმეს, ან ადგილს ოჯახობაში ან სამკერვალოებში.

Пріѣзжая изъ Москвы модистка—портниха, съ рекомендаціею, ищетъ мѣста или занятія въ семействѣ или магазинѣ. Адресъ въ конторѣ Ш. Давидова.

ქაღალდის სკლადი

უმაღლესად დამტკიცებულის ქაღალდის მწარმოებელთ ამხანაგობის ფაბრიკისა.

აქ არის საწერი, სტამბის, გაზეთის, ფოსტის და სხვა ყველა ნაირი ქაღალდი, თეთრი და ფერადი. აგრეთვე ყველა ნაირი სამწერლო კუთვნილებანი: დავთრები, საწერ-კალამი, მელანი და სხვა.

ფასი იაფად როგორც ფაბრიკებშია

Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянскаго банка.

10—1

დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის და რომ. ფანცხავას
ქართულ წიგნის მაღაზიაში
პირველად გამოცემული
„საერო კალენდარი“
მხატვრობითი
1890 წლისა.
კალენდარში მოთავსებულია ყოველ გვარი კალენდარული ცნობანი და სურათებით არის შემკული.
ფასი 40 კაპ.

იქვე ისყიდება
1890 წლის
კეკლის
ქართული კალენდარი
წელიწადი მეორე,
კალენდარი ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა; სახემწიფო უქმეები, შესანიშნავი ისტორიული მოვლენანი, მთვარის ანგარიში, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ნაკვესიდამ, დამაკვირდიდამ და ქართული საჭმელების მომზადება.
ფასი 40 კ.


Дозволено ценз. 20 Января, 1890 г. Тифлисъ. Типографія Гр. Чарквиани. რედაქტორ-გამომცემელი ა. ნებიერიძე